



## ტურიზმის დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი აკადემიური განათლების I და II საფეხურები  
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები



## უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები

### I. შესავალი

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ეკონომიკა ეყრდნობა ცოდნას, რაც შესაბამისად ცვლის, ზოგადად, ბიზნესის და ჩვენს შემთხვევაში, ტურისტული პროდუქტის წარმოებისა და მართვის თანამედროვე უნარებს. დღეს ტურისტული საწარმოები მოწოდებულნი არიან აწარმოონ ხარისხიანი პროდუქტი დროულად, გონივრული დანახარჯებით, სწრაფად და მუდმივად შეიტანონ თავიანთ საქმიანობაში ცოდნაზე დაფუძნებული სიახლე. ტურიზმში ცოდნის მიღება, წარმოება, გავრცელება, მოწესრიგება და სტანდარტიზაცია ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

წარმოდგენილი დარგობრივი მახასიათებელი<sup>1</sup> განსაზღვრავს თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებულ სტანდარტებს ტურიზმის სფეროს I და II საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის,<sup>2</sup> კერძოდ:

ა) უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - **ბაკალავრიატი**, სწავლის სფერო - „ტურიზმი“ (კოდი 1015.1.1)

ბ) უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - **მაგისტრატურა**, სწავლის სფერო - „კულტურული ტურიზმი“ (კოდი 1015.2.1), „რეკრეაციული ტურიზმი“ (კოდი 1015.2.2), „ტურიზმის მენეჯმენტი“ (კოდი 1015.2.3), „მასპინძლობის მენეჯმენტი“ (კოდი 1015.2.4).

ტურიზმი, როგორც დარგი, აერთიანებს სხვადასხვა სახის სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ ფაქტორებს, რომელთა შერწყმა იწვევს გარკვეულ სირთულეებს ერთიანი, უნივერსალური სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის.

<sup>1</sup>დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე მოახდინოს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურითა (არა სამ კატეგორიად გაყოფილი) და ფორმულირებით ჩამოყალიბება.

<sup>2</sup>დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების დროს სამუშაო ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ნაცვლად „ტურიზმის მენეჯმენტისა“ (კოდი 1015.2.3) და „მასპინძლობის მენეჯმენტისა“ (კოდი 1015.2.4), მოხდეს ცვლილება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მეორე სვეტში (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) და კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ტურიზმის მენეჯმენტი/Tourism Management“ (კოდი 1015.2.3), „მასპინძლობის მენეჯმენტი/Hospitality Management“ (კოდი 1015.2.4), „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი/Tourism and Hospitality Management“ (კოდი 1015.2.5) და საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციის კოდი 1019.2.1. ამოღებულ იქნას არაკლასიფიცირებულიდან.



აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის უმაღლესი საგანათლებლო პროგრამების შემუშავებას; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას; მიღებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას მობილობასა და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე, პროფესიულ განვითარებას, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დამკვიდრებას, კარიერულ წინსვლას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას.

ტურიზმის დარგის სწრაფი განვითარებისა და ცვლილებებიდან გამომდინარე, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელმძღვანელობდნენ ერთიანი სავალდებულო დარგობრივი მახასიათებლებით, რომელიც პერიოდულად განახლდება. ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლების მოქმედების ვადაა 6 წელი. დოკუმენტი განსაზღვრავს ტურიზმის ბაკალავრის, ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის, მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის, კულტურული ტურიზმის მაგისტრის, რეკრეაციული ტურიზმის მაგისტრის მისანიჭებლად აუცილებელ სწავლის შედეგებს; სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმებსა და მეთოდებს.

**მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს** საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დამოუკიდებლად გამოსაყენებელ თვითშეფასების ინსტრუმენტს, მისი აღიარება და დაცვა სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, სადაც ისწავლება ტურიზმი. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია მისი განხორციელებისა და შეფასების ფორმების ინდივიდუალურად განსაზღვრა. დარგობრივ მახასიათებელთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის, შესაბამისი პროცესებისა და პროცედურების დაცვით. გარდა ამისა, დოკუმენტი აკადემიური საზოგადოებისათვის ქმნის მყარ ფუნდამენტს სწავლების პროცესის სრულყოფისათვის, აღწერს სწავლების თავისებურებებს, კვალიფიკაციის მფლობელთა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარს კონკრეტულ სფეროში კვალიფიკაციებთან მიმართებაში.

ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების საფუძველია „საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანება “უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ”.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

„საქართველოს კანონის „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ მიხედვით, ტურიზმი არის ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების



და/ან სხვა მიზნით. ზოგადად ტურიზმი, როგორც ეკონომიკის დარგი კი წარმოადგენს ტურიზმითა და მოგზაურობით დაკავებულ ადამიანთა მომსახურებას ანუ ეკონომიკურ საქმიანობას.

ტურიზმის სექტორის ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადამიანური რესურსის კვალიფიკაციასა და თანამდეროვე ტექნოლოგიების ათვისების უნარზე, ასევე, ახალი ორგანიზაციული პროცესებისა და ფორმების გამოყენებაზე. შესაბამისად, ტურიზმის სექტორის ხარისხი საქართველოში განპირობებულია დარგში განათლების ხარისხის გაუმჯობესებით და მუდმივი განვითარებით.

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ, როგორც ტურიზმის დარგის ზოგად ცოდნასა და უნარებს, ასევე უნდა შეეძლოთ ტურიზმის პოლიტიკის, მართვის, კვლევისა და დაგეგმვის საკითხებზე მუშაობა ტურისტული ცენტრის, რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. თეორიულ ცოდნასთან ერთად ტურიზმის სფეროს მუშაკები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ტურისტებთან პირდაპირი კონტაქტი აქვთ, ვალდებული არიან ერკვეოდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ფლობდნენ ინფორმაციას ქვეყანასა და რეგიონზე, შეძლონ კომუნიკაცია უხო ენებზე და ა.შ.

ტურიზმის დარგის ზემოაღნიშნული კომპონენტები, ერთი მხრივ, ცხადყოფენ კავშირს ბიზნესისა და მენეჯმენტის ტრადიციულ სფეროებთან, მეორე მხრივ, მკაფიოდ აჩვენებენ განსხვავებებსაც, რომლებიც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ქმნიან საჭიროებას ტურიზმის მულტი ან/და ინტერდისციპლინური სწავლების აუცილებლობაზე. შესაბამისად, ტურიზმი, როგორც სწავლის სფერო, სხვადასხვა კომბინაციით მოიცავს: ჰუმანიტარულ, სოციალურ, ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო და სხვა მიმართულებებს.

### III. სწავლის შედეგები

#### 3.1 ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები

**ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

1. **აღწერს** მდგრადი და ეფექტური ტურისტული სერვისების შემუშავების, განხორციელებისა და მართვისთვის ტურიზმსა და მასთან დაკავშირებული სფეროების არსებით ფაქტორებს, კონცეფციებს, პრინციპებს, თეორიებსა და ტურისტული საქმიანობის პროცესებს;
2. **აცნობიერებს** ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ და ეთიკურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს - საქმიანობის პროცესებს, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრად დაგეგმვას, განხორციელებასა და მართვას.
3. **ახდენს** საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას;



4. **ასრულებს** ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობის მმართველობით ფუნქციებს (დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა, კონტროლი და ა, შ) საჯარო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურულ ერთეულებში;
5. **ახდენს** ტურისტულ საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემების **იდენტიფიცირებას**, მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვას სოციალური და ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;
6. **იყენებს** აპრობირებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ტურისტული საქმიანობის, პროდუქტისა და მომსახურების შემუშავების განხორციელებისა და რეალიზაციისათვის;
7. კონკრეტული მოთხოვნების ფარგლებში **ამზადებს და ახორციელებს** ტურიზმთან დაკავშირებულ სპეციალურ/პრაქტიკულ ხასიათის პროექტებს;
8. **მოიძიებს** შესაბამის მონაცემებს და **კრიტიკულად აანალიზებს** ტურიზმის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გავლენას დარგის მდგრადი განვითარებისათვის;
9. **მსჯელობს** წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის და სასურველი შედეგების მისაღწევად გუნდურ გარემოში ურთიერთმისაღები დასკვნების გამოსატანად;
10. **ახორციელებს** ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, **ამზადებს** მოსაზრებებს, არსებული გამოწვევების და გადაჭრის გზების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე (და/ან სხვა უცხო ენაზე) საჯარო პრეზენტაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
11. სწრაფად **მოქმედებს და რეაგირებს** არსებულ ვითარებებზე, რისკებსა და საფრთხეებზე, სოციალური, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით;
12. **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;
13. ტურიზმის სფეროში პროფესიულ საქმიანობას **წარმართავს** პასუხისმგებლობის ვალდებულების სრული დაცვით;

### 3.2 ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები

ტურიზმის სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. **აცნობიერებს** საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის დინამიკას, ტენდენციებსა და მათ გავლენას ტურიზმის ეკონომიკურ პოლიტიკაზე;
2. **ფლობს** ღრმა და სისტემურ ცოდნას ტურიზმის სექტორთან დაკავშირებულ ბიზნეს-პროცესებისა და სამართლებრივ რეგულაციებში;
3. ტურიზმის სფეროს სისტემური ცოდნის **კრიტიკული გააზრებით** ქმნის საფუძველს

<sup>3</sup> ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა, რეკრეაციული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა.



- ინოვაციებისათვის და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის;
4. **ავლენს** ტურიზმთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევის ჩატარების პრინციპებისა და მეთოდების საფუძვლიან ცოდნას;
  5. **შეიმუშავებს** ტურიზმის ბიზნესის მართვის პრიორიტეტებსა და განვითარების სტრატეგიებს პროფესიული ეთიკის პრინციპებზე დაყრდნობით;
  6. **გეგმავს და ქმნის** ახალ ტურისტულ პროდუქტს ტურისტული ბაზრის მოთხოვნების, მეცნიერული კვლევის და მდგრადი განვითარების საფუძველზე;
  7. **იყენებს** ტურიზმის სფეროში არსებულ უახლეს ცოდნას კომპლექსური პრობლემების, მოგვარებაში, გადაწყვეტილებების მიღებაში, საქმიანობის განხორციელებასა და კონტროლის პროცესში ეთიკური, სოციალური და კორპორაციული პასუხისმგებლობების გათვალისწინებით;
  8. **იკვლევს და კრიტიკულად აფასებს** ტურისტული პროდუქტების/მომსახურების განვითარების და მართვის პროცესებს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ტურიზმთან დაკავშირებული დარგების ინტეგრირების მეშვეობით;
  9. გამოვლენილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე, **შეიმუშავებს** ინოვაციურ მიდგომებს და **აყალიბებს** მიზნობრივ რეკომენდაციებს პრობლემური საკითხების გადაწყვეტისთვის;
  10. დამოუკიდებლად **აწარმოებს** კვლევითი სამუშაოს და **წარადგენს** შედეგებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე (და/ან სხვა უცხო ენაზე) საჯარო პრეზენტაციებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებითა და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
  11. ეფექტიანად მუშაობს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდის წევრად; **ახდენს ადაპტირებას** ახალ სამუშაო ადგილზე; პასუხისმგებლობით ოპერირებს მულტიდისციპლინარულ გარემოში;
  12. **იცავს** პროფესიულ და აკადემიურ ქცევის წესებსა და ეთიკის პრინციპებს; **აფასებს** საკუთარი და სხვების შესაძლებლობებსა და ქმედებებს; მონაწილეობს გუნდის წევრების პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში;
  13. იღებს პასუხისმგებლობას სწავლის შედეგების შეფასებასა და გააზრებაზე საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით და ასევე, გეგმავს შემდგომ სწავლას და პროფესიულ განვითარებას.

#### IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

ტურიზმის და/ან მასპინძლობის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს სწავლების მრავალფეროვან ფორმებს, მათ შორის, დისტანციურ რომელიც ტექნოლოგიების გამოყენებით შედგება სწავლის ცალკეული და ჩართული ელემენტებისაგან. ამ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განსაკუთრებული მახასიათებელია ინდუსტრიაში ინტეგრირების ელემენტი, პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობას შესაბამის პრაქტიკოსებთან და დამსაქმებლებთან. ეს ასახავს პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობას ცოდნის, უნარებისა



და ქცევის შემუშავებაში, რომლის შედეგადაც კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს თავისი წვლილის შეტანა დარგის განვითარებაში.

ტურიზმისა და/ან მასპინძლობის საგნების სწავლება, სწავლა და შეფასება ეყრდნობა უახლეს კვლევებს, სამეცნიერო შრომებსა და დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების თეორიულ გააზრებას, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამები მოიცავს სწავლის სხვადასხვა სახის შესაძლებლობებს და სწავლის შეფასების შესაბამის მიდგომებს თეორიული და გამოყენებითი მეთოდებით. მიდგომების არჩევანი ასახავს სწავლის შედეგებს, რომლის მიღწევაც მოსალოდნელია სტუდენტების მიერ. მათ ეძლევათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმი სშედგენის შესაძლებლობა.

პროგრამების სწავლებისა და სწავლის მეთოდები ზოგადად მოიცავს შემდეგ კომბინაციას: ლექცია, ვორქშოპი და სემინარი, ჯგუფური და ინდივიდუალური მეურვეობა (ტუტორობა), პრაქტიკულ-ლაბორატორიული, პრაქტიკული საქმიანობა, ქეისების შესწავლა, პრაქტიკა, კონსულტაციები, მუშაობა მცირე ჯგუფებში, თანამედროვე ტექნოლოგიებით გაძლიერებული დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, შერეული სწავლება და სხვ.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ/რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სასწავლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის ჩართულობას პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს შეიძლება იყოს: დარგში მუშაობის პერიოდი, ან სწავლა მუშაობასთან ერთად, მათ შორის მოხალისეობა გამოცდილების შესაძენად; სწავლის შესაძლებლობა სპეციალიზებულ ობიექტებში შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებით (მაგალითად, სასწავლო სამზარეულო და რესტორნები, სპორტული, დასასვენებელი ობიექტები, ღონისძიებების დარბაზები, გამოფენები და სხვ.); პროფესიულ ასოციაციებთან მუშაობა (საველე, ანსხვააქტივობები, „ცოცხალი ქეისების“ შესწავლა, ვიზიტები პროფესიონალებთან); სიმულირებული გარემო, მათ შორის ვირტუალური ტექნოლოგიებით შექმნილი; შესაბამისი გამოყენებითი საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ხელმისაწვდომობა და ა.შ.

სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების სპექტრის ეფექტიანად შეფასების მიზნით, გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმები. კერძოდ: შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება. შეფასების მეთოდებს წარმოადგენს: ტესტი, ესე, პრეზენტაცია, ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებით პროექტის წარმოდგენა და დაცვა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა.



## V. დამატებითი ინფორმაცია

### აკადემიური პერსონალი:

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ანხორციელებდეს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი<sup>4</sup>, რომელიც უზრუნველყოფს ამ საგანმანათლებლო პროგრამისა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულებას.

### პრაქტიკული სწავლება:

ტურიზმის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტი შეადგენს მინიმუმ 5 კრედიტს.

სააუდიტორიო პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს მაქსიმუმ 20 სტუდენტით.

### მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

მე-6 და მე-7 დონების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტებს ენიჭებათ კვალიფიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (№69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი) დანართი 2-ის „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, მიხედვით.

ამასთან, კვალიფიკაციის მფლობელთა მიერ ევროპულ სტანდარტების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებში 240 ECTS კრედიტიდან სპეციალობის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/ მოდულები კურსების მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 120 ECTS კრედიტით, ხოლო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამებში 120 ECTS კრედიტიდან სპეციალობის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები კურსების მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 60 ECTS კრედიტით.

## VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები:

1. მარინა მეტრეველი - ტექნიკური უნივერსიტეტი;
2. მაია აზმაიფარაშვილი - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
3. ეკა დევიძე - საქართველოს უნივერსიტეტი;
4. იოსებ ხელაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
5. ლალი მიქელაძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

<sup>4</sup>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ 2011 წლის 4 მაისიქ. თბილისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (გვ.37;მეოთხესტანდარტის 4.1)





6. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
7. იზოლდა ხასაია - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
8. ციცინო დავითულიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტი;
9. გივი ყუფარაძე - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
10. ნიკო კვარაცხელია - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
11. მალხაზ ღვინჯილია - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
12. მაია მარგველაშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
13. მირანდა აღაპიშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
14. ვახტანგ მიქაშავიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
15. გიორგი ქემერტელიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
16. ნატო სულთანაშვილი - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო;

#### დაინტერესებული მხარეები:

1. ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაცია;
2. ნინო ორაგველიძე -სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
3. რომან მამულაძე - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
4. ნოდარ გრძელიშვილი - შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი;
5. თამარ კაკაციაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
6. ბადრი კვაჭაძე -საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი);
7. ქეთევან ზურაშვილი - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
8. ნინო დეკანოიძე - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;
9. მერაბ ხოხობაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. ილია ოქრომელიძე - საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია.